

ქართული მწიგნობრობის ისტორიიდან

ქართული წიგნის მაღაზიის 40 წლის არსებობის გამო.



გრიგორ ვასილის ძე ჩარკვიანი.

აღწერილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან.

თბილისი

სტამბა დავ. პიტნავასი

1919



ქართული მწიგნობრობის ისტორიიდან

ქართული წიგნის მაღაზიის 40 წლის არსებობის შესრულების
გამო.

I.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან ქართველი ერისთვის დადგა მეტათ მძიმე და შავი დღეები, რასაც რუსეთის მთავრობა გვპირდებოდა და რის პირობასაც გვამღევედენ, იგინი მერე გაგვიმტყუნდნენ და როცა ფეხი შემოდგეს საქართველოში და მერე ცოტათი რომ ნიადაგი გაიმაგრეს, ამის შემდეგ მათთვის პირობა დაარღვიეს და ნაცვლათ სიკეთის და დახმარების, მტრობა მომართეს, ქართველ ერს დევნა დაუწყეს. ქართველ ერის გადაგვარებას, ანუ გარუსების ცდას მიეცნენ, ამიტომ ქართულ მწიგნობრობას და ისტორიასაც სასტიკი ცენზორი დაუნიშნეს.

რუსეთის მთავრობამ თავის საწადელს მიაღწია, საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველნი თვითვე მოიძულებდნენ ქართველს ენას, ქართულ წიგნის კითხვას და თვით ქართველნი უკრძალავდნენ თავის შვილებს ქართული ენის სწავლებას, თვით სკოლებშიაც სთხოვდნენ უფროსებს, რომ ჩვენ შვილებს ქართულს წერა-კითხვას ნუ ასწავლითო.

პოეტი გრიგორ ორბელიანი იტყოდა ხოლმე: რომ ქართუ-

— 4 —

ლი ენა და წიგნი ჩვენს დროს დიდს ძაგებას იყო მიცემულიო; ქართული წიგნი გლეხებისა იყო და თავად-აზნაურებისა კი რუსულიო.

პოეტი ვახტანგ ორბელიანი იტყოდა, რომ ჩვენი ნათესავები სულ იმას გვეუბნებოდნენ, რომ ქართულ ენის სწავლას თავი დაანებეთო, ქართული ენა გლეხების ენა არისო, ჩვენი კი რუსულიო, ამიტომ ლექსების წერას და კითხვასაც კი სასტიკათ გვიკრძალავდნენო.

ადრინდელი „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძემ

ასევე ამბობდა, როცა მე 1857 წ. „ცისკრის“ გამოცემა განვაახლეო, მრავალნი დამცინოდენ და მეუბნებოდენ: „შე საცოდავო, ეგ ქართული „ცისკარი“ შენ პურს არ გაჭმევს, მშვიერი მოკვდები, ქართულ ენას და წიგნს ვინ რა თავში იხლის, რომ შენ „ცისკარს“ ბეჭდავო. აბა ვილა კითხულობს ქართულათ და ვილა ლაპარაკობსო. ასეთივე ცნობის მაგალითია ილია ჭავჭავაძე, როცა ის 1820-1830 და 1840 წლის ქართველობას ასე აყვედრის:

„თქვენ არ ხართ ისა, რომ ღვიძლი ენა,
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთათ,
შიშით არც კარში და აღარც ხალხში,
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენათ“.

მეცხრამეტე საუკუნეში ასე მიფრინავდენ დღენი და მით ქართული ენა და წიგნიც დღითი-დღე ეძლეოდა სასტიკ დევნას და მოსპობას.

ქართული ენა გმობილ იქმნა ქართველთ თავად-აზნაურთ ოჯახებში.

ქართული ენა ჰგმეს ქართველთ განათლებულ (თუ კი ეს იყო სადმე) მოქალაქე და გლეხებმაც, გარუსების მხრით ამათ უფრო წინ გაუსწრეს თავად-აზნაურებს. ესენი უფრო სასტიკათ უკრძალავდენ თავიანთ შვილებს არამც თუ ქართული წიგნის კითხვას, არამედ ლაპარაკსაც კი. მოქალაქენი და გლე-

— 5 —

ხნი ეტყოდენ ხოლმე თავის შვილებს: „ქართულს ნუ სწავლობთ, თორემ მზეს დაგიბნელებთ“. ასევე სხვა სიტყვებს ხმარობდენ.

პოეტმა დავით გივიშვილმა მიაძხო: სკოლაში ქართული წიგნების კითხვას მე ძლიერ მივდევედი, ჩემს მშობლებს ამაზე ჯავრი მოსდიოდათ. ამიტომ ამათ სკოლიდამ გამიყვანეს და შტაბში რუსის პისრებს მიმაბარეს, რომ ეგები იმათთან რუსული ისწავლოს და ქართულს თავი დაანებოსო. ჩემს დედამას გარდა, სხვანიც ასევე იყვნენ მაშინ დაშხამულებიო.

ასეთისავე უკუღმართობის ცნობა არის ის, რომ ქართველები თავიანთ უკუღმართობით იმ ბოროტ წერტილამდის მივიდნენ, რომ ქართველებს თვითვე ეთაკილებოდათ ქართული წიგნის კითხვა, ნამეტურ ქართული გაზეთის მკითხველებსაც კი მასხარათ იგდებდენ. ასეთი დაშხამული შეხედულობა ქართველებს ცხადათ ემჩნეოდათ თვით ისეთ დროსაც, როცა თფილისში 1866 წელს პირველათ ქართული გაზეთი „დროება“ გამოიცა. ვინცკი ამ ქართულ გაზეთსა იღება და ხელში ის რომ დაენახა ვისმეს, სიცილს დაუწყებდენ მასხარობით, რომ ქართულ გაზეთს კითხულობსო.

II

ამ ბოროტი გარემოების სასტიკი წინააღმდეგი იყო იმავე დღიდან გაზ. „დროება“ თავის დაარსების დღიდანვე. ამაზე წინეთ ჟურ. „ცისკარი“ 1857 წლიდან, თავის შინაურის მიმოხილვით, ყველას იმას შესტიროდა და ეხვეწებოდა, რომ ქართველებო, შეიყვარეთ ქართული წიგნების კითხვა, ისწავლეთ თქვენი დედა ენა, ნუ ივიწყებთ დედა ენას და იკითხეთ ქართული წიგნებიო. სწორეთ ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ 1860 წლებში „ცისკარში“ აკაკიმ შემდეგი ლექსი დაბეჭდა:

„ქართულზედ რომ ხელს იღებენ,
ვეღარც რუსულს ახერხებენ,

— 6 —

ქართულ ენას არათ ხდიან,
შვილებს კარგათ არა ზრდიან,
ტრედიაკოვსკის აქენ
და რუსთველს კი დასცინიან“.

და სხვანიც ასეთი სიტყვები. ასევე ამ გარემოების სასტიკი წინააღმდეგი იყო ჟურ. „მნათობი“ 1869 წლიდან, ჟურ. „კრებული“ 1871 წ. რომელთა ხელის მომწერთა რიცხვი 200-ზე ზევით არ აღემატებოდა, ასევე იყო ამის წინააღმდეგი სხვა გამოცემანიც კი, მაგალითებრ როგორიც იყო „სასოფლო გაზე-

თებიც“ და „გუთნის დედა“ 1865 წ.

ამ გამოცემათა მეთაურნი გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკოლოზ ნიკოლაძე და ბევრნიც სხვანი ასეთნი. ამასთანავე არ შეიძლება არ დავასახელოთ ქართველთ კათოლიკეთაგან სტეფანე ზარაფოვი, და სტეფანე მელიქიშვილი, გამომცემელნი გაზ. „დროების“ და ბევრნიც სხვანი ასეთნი და ნამეტურ კირილ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე, რომელმაც ქართული მშვენიერი წიგნი „ჩონგური“ პეტერბურგში გამოსცა 1866 წ. სტუდენტობის დროს და მიხ. ბეთანელი, რომელმაც ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია ადამიანი“ პეტერბურგში დაბეჭდა ცალკე წიგნათ 1868 წ. „ჩონგურში“ მოთავსებული იყო საუკეთესო ლექსები ქართველის პოეტებისა.

ეს მშვენიერი წიგნები პეტერბურგში გამოიცენ სწორეთ იმ დროს, როცა საქართველოში მთელი წლის განმავლობაში ორნაირი წიგნი არ გამოვიდოდა ხოლმე.

თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში რაც იბეჭდებოდა, ისიც არ იყიდებოდა და მთელი წლობით გამომცემლების სახლში ეყარა და ღებებოდა გაუსყიდავი, ან საიღამ როგორ რა უნდა გასყიდულიყო, როცა ქართულ წიგნს გარდა, ქართული ენა იდევნებოდა თვით სასწავლებლებში და ქართულს ეკვლესიაშიც კი. რუსის ეგზარხოსებმა 1818 წლიდან ქართულს ენას ეკვლესიაშიც კი დაუწყეა დევნა, ჩი-

— 7 —

ნებით, ორდენებით და კამილავკებით შეისყიდეს თვით ქართველი სამღვდლოება და თვით ამ სულის მამებსაც კი აგმობინეს ქართული ენა ქართულს ეკვლესიაში. თვით იმ სულის მამებმაც კი დაიწყეს ქართულს ეკვლესიებში ქართულის წირვა-ლოცვის მაგიერ სლავიანურ-რუსულათ შესრულება.

ჩვენი ძველი მღვდლები ისე გარუსდნენ, ისე გადაგვარდნენ, რომ თვით იგინივე უწყობდენ ხელს და სცდილობდენ ეგზარხოსების სასიამოვნოთ, რომ ქართულის მაგიერ რუსულათ ეწირათ. ამიტომაც იყო, რომ თვით ქართველი ეპისკოპოსნიც კი ყოველთვის რუსულათ სწირავდენ: სიონში მთელი წლის განმავლობაში ერთათ-ერთი მხოლოთ 14 იანვარს, წმ.

ნინოობას სწირავდენ ქართულს ენაზედ. სიონში ქართულს ენაზედ სახარებას აღდგომას და დიდ ხუთშაბათსაც კი არ კითხულობდენ. თფილისში უმეტესათ ქართველ მიცვალებულებს რუსული წირვის შესრულებით ასაფლავებდენ, რუსულათ აქორწინებდენ, ყველაფერს რუსულათ ასრულებდენ.

ასე და ამ გვარათ ქართული ენა რუსის მთავრობისაგან იდევენბოდა სკოლაში, ეკკლესიაში, შინათ და გარეთ, ქართული წიგნების ხსენებაც კი აღარსად იყო.

III

აი ასეთ დროს, ასეთ ერსა და ქართულ ენის გამობის ხანას, არაფერი ქართული წიგნები არ იყო და რაც იყო, ისიც მთელს თფილისში მათი პოვნა და შოვნა ძრიელ ძნელი იყო და სანთლით სამებარი. მთელი თვეები უნდა გველოთ და იაკობ გოგებაშვილის პატარა ანბანის მეტს სხვას ვერას იშოვნიდით. ამ შავ-ჟამ ნისლით მოცულ დროთა ქართველთა შეგნებულთა მამულისშვილებს ყველას გული ბოდმით ჰქონდათ აღვსილი. ამ უბედურების დროს, თფილისში გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანმა განიზრახა ქართული წიგნის მაღაზიის გახსნა, რათა ამ მაღაზიას შეეკრიბა ერთათ ქართული წიგნები. ამას გარდა ხანდახან გამოეცა ქართული სახალხო წიგნები და მის საშუალებით ქართველის ხალხისთვის გაეადვილებინა ქარ-

— 8 —

თული წიგნების მოპოვების საქმენი, ამ ხერხით მისცემოდა ქართულს წიგნების გავრცელება ქართველს ერში.

ასეთ კეთილ განძრახვასა და წადილს წინ ელობებოდა ის გარემოება, რომ მაშინ ნება-რთვის აღება ძნელი იყო, წიგნის მაღაზიისა, მიუხედავთ ასეთის სიძნელის, გრიგორ ჩარკვიანმა მაინც გაბედა და მთავრობას თხოვნა მისცა ქართულ წიგნის მაღაზიის გახსნის ნებართვის აღებისათვის. მცირე ხნის შემდეგ მთავრობისაგან გრ. ჩარკვიანმა უარი მიიღო. ამ გვარათ ჩაიფუშა კეთილი საქმის განძრახვის სისრულეში მოყვანის თავდარიგი. აქ ამისთვის ვიტყვით შემდეგს:

მაშინ ქართული წიგნის მაღაზიის გახსნის ნებართვის აღება და ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ნებართვის

აღების საქმენი ისეთი ძნელი იყო და იშვიათი, რომ მასზედ ძნელი სხვა აღარაფერი იქნებოდა, როცა კი მოხდებოდა ესა და ვინმე რამე გამოცემის, ან წიგნის მაღაზიის გახსნის ნებართვას მიიღებდა, იმას ყველა მცნობნი და მეგობრები დიდის სიხარულით მიულოცავდნენ, რომ „ღმერთმა გაღირს და ნებართვა აიღეთო“. ასეთი ძნელ საქმეთ იყო მაშინ გამხდარი ბოროტი მთავრობისაგან.

ამიტომაც გრ. ჩარკვიანი ძრიელ დაღონებული იყო ამაზედ. ერთხელ ასე დაღონებული გორგინის ქუჩაზედ, შეხვდა იაკობ გოგებაშვილს, ამას უამბო წიგნის მაღაზიის გახსნის ნებართვის შესახებ უარის მიღება. იაკობ გოგებაშვილიც დაღონდა, მერე ამან რჩევა მისცა ასე; მე ვნახამ ილია ჭავჭავაძეს, მას მოველაპარაკები დღეს, ხვალ შენ წადი და ნახე, დაავალე დახმარება და ის მოგიხერხებს უსათუოთ.

მერე დღეს გრ. ჩარკვიანი გიახლათ ილია ჭავჭავაძესთან და უამბო თავის დარდი და ქართული წიგნის მაღაზიის გახსნის საჭიროება. ილია ჭავჭავაძემ მოისმინა დავალე და დაჰპირდა გრ. ჩარკვიანს, რომ მე ვნახამ მთავარმართებლის ხელქვეითს, მოველაპარაკები და საქმეს მოგიწყობო. ერთი კვირის შემდეგ შემოიარე ჩემთანაო. გრ. ჩარკვიანი გახარე-

— 9 —

ბული წამოვიდა. ყველას იმედი მოგვცა, რადგანაც რასაც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, ის უთუოთ შესრულებულიც იქნებოდა, რადგანაც იმ დროს მთავარმართებლის ხელქვეითი მართველი ღენერალ სტაროსელსკი იყო, ილია ჭავჭავაძის ქვისლი გახლდათ.

ერთი კვირის შემდეგ გრ. ჩარკვიანი გიახლათ ილია ჭავჭავაძესთან. ილია ჭავჭავაძემ უამბო გრ. ჩარკვიანს, რომ მე ვნახე მთავარმართებლის გამგე, მოველაპარაკე და თან დავავალიე. იგი შემპირდა, რომ დავალეებს შეასრულებს. ეხლა შენ შეიარე და ნახე, გაახსენე ჩემი დავალეება და პასუხს მიიღებო. მეორე დღეს გრ. ჩარკვიანი გიახლათ მთავარმართებლის გამგეობაში. იქ მთავარმართებელი მოელაპარაკა გრ. ჩარკვიანს და ბოლოს უთხრა, რომ თხოვნა შემოიტანე ახლათაო.

მეორე დღეს გრ. ჩარკვინმა თხოვნა მიართვა. თხოვნა მიიღეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, შეიარა გრ. ჩარკვიანმა და 1878 წ. 10 მარტს, მიიღო უკვე ნებართვა ქართულის წიგნის მაღაზიის გახსნისა, რის გამოც დიდათ უმაღლიდა ილია ჭავჭავაძეს.

ამ სიხარულის დროს, მე და გრ. ჩარკვიანი შეავიხანაგდით წიგნის მაღაზიის გახსნის დროს. ჩვენი შეამხანაგების შემდეგ, გრ. ჩარკვიანიც შეუდგა წიგნის მაღაზიის გახსნის სამზადისს. ბ. ჩარკვიანმა მალე მაღაზია დაიკავა ქაშუეთის ეკლესიის მამულში, ალექსანდრეს ბაღის შუა ალაგას და ამავ წლის ივლისის თვის განმავლობაში ჩვენ უკვე მაღაზიაც გავხსენით. ამ გვართ გვეღირსა ქართული წიგნის მაღაზიის ნებართვის აღება და მოვესწართ მაღაზიის გახსნასაც.

მაღაზია მოვაწყეთ ისე, რომ მთელი წიგნის მაღაზიის ყაფაზები ჩვენ სულ ქართული წიგნებით გავავსეთ, აქ, ჩვენ გვქონდა ყველა ძველი და ახალი გამოცემანი, ჟურნალები და გაზეთებიც კი, სულ ყდებში ჩასმულები და საკითხავათ გამზადებულნი, რასაც გრიგორ ჩარკვიანი და მეც ადრიდანვე ვაგროვებდით. დაბეჭდილ წიგნებს გარდა მე მქონდა დიდი

— 10 —

ძალი ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნები. მათში ზოგი პერგამანტზედ ნაწერიც იყო. ყველა ეს წიგნებიც ამ მაღაზიაში იქმნა ჩემგან მიტანილი. მაღაზია იქმნა ლამაზათ და სუფთათ მოწყობილი, გარედანაც ჰქონდა კარგი საუწყებელი ცნობა, რასაც ზედ ეწერა შემდეგი ქართული წარწერა: „ქართული წიგნის მაღაზია გრიგორ ვასილის ძე ჩარკვიანისა“.

ამ მაღაზიის გახსნას მაშინდელი ქართული ორი გაზეთი „დროება“ და „ივერია“ დიდის სიხარულით მიეგება. ასეთივე სასიხარულოს პატივისცემით მიეგება მთელი ქართველი ერი და ნამეტურ თფილისის ქართველობა. მაღაზიის გახსნის დღიდანვე ჩვენთან თითქმის მუდამ დღე მოზრმანდებოდენ ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, პოეტი რაფიელ ერისთავი, ალექ. ყაზბეგი, ნიკოლოზ ლოლობერიძე, სერგეი მესხი და ასევე სხვანიც მრავალნი, თითქმის თფილისის ყველა ქართ-

ველთ მოღვაწენი, მწერლები და მოწინავე კაცები.

მაღაზიაში მე ვიყავ და ვაწარმოებდი, გრ. ჩარკვიანი კი სხვაგან მსახურობდა. ის მუდამ დღე მოდიოდა მაღაზიაში და ჩვენ სადილიც ერთად გვჭონდა.

ამ მაღაზიამ მალე მოიპოვა დიდი მნიშვნელობა და პატივისცემა. დავსძენთ აქ არა ქებით, რომ ალ. ყაზბეგმა ამ მაღაზიის არსებობის წყალობით აიღო კალამი ხელში. ამ გარემოების საფუძვლათ ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ მაშინ ჯერეთ ჩვენი წერა-კითხვის გამგეობა თავის სამკითხველო და წიგნის მაღაზიით ჯერეთ გაცნობილი არ იყო. ამიტომაც თფილისელი ქართველების მოწინავე პირნი ამ მაღაზიაში თითქმის მუდამ დღე დაიარებოდენ და საუბარს მართავდენ ქართულს მწერლობაზე და მის აღორძინების საქმეებზე.

აქ თითქმის კამათი, სჯა და ბაასი დილიდამ ღამის 10 საათამდე და ხან უფრო გვიანამდისაც გასტანდა ხოლმე. ასეთ სჯასა, ბაასსა და კამათში ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდენ შემდეგი პირნი:

დიმიტრი ბაქრაძე, ცნობილი ისტორიკოსი, სჯა და ბაასს

— 11 —

მართავდა საქართველოს ისტორიის შესახებ.

რაფიელ ერისთავი. საუბარს მართავდა და ახალს ქართულ პოეზიის შესახებ. ამ დროს დასწერა მან თავის ისტორიული პოემა „ასპინძის ომი“. ამ მაღაზიაში სჯა-ბაასის შემდეგ მან თავის პოეზიას კილო შეუცვალა.

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი. ამის ლაპარაკის საგანი იყო ყოველთვის ქართულ ენაზე კარგი სახელმძღვანელი წიგნების ბეჭდვის საჭიროებაზე.

პეტრე უმიკაშვილი. ამის საუბრის საგანი იყო ძველი ქართული წიგნების გამოცემაზე, ძველი წიგნების შეკრებაზე.

ალექსანდრე ყაზბეგი. ამის საგანი იყო სჯა ქართულს თეატრზე და ქართულს პიესებზე, რადგანაც ეს ამ დროს სულ პიესებს სწერდა. აწინდელი ყველა მისი მოთხრობები სულ პიესებათ ჰქონდა ნაწერი. მერე ეს პიესები გადააკეთა მოთხრობებათ.

ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოღობერიძე. ამის ლაპარაკის საგანი იყო ქართული წიგნების გამოცემის გამრავლება და ამის საშუალებით მაღაზიის ფეხზე დაყენებაზედ.

კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. ამის ლაპარაკის საგანი იყო ქართული წიგნების ლამაზათ გამოცემა და მით ქართული წიგნების გამშვენება.

ხანდისხან მობძანდებოდა ნიკოლოზ ნიკოლაძეც, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და ანტონ ფურცელაძე.

ახალგაზრდებთაგან დაიარებოდენ იმ დროის ყველა ახალგაზრდა მწერლები და პოეტები. ვაჟა ფშაველას ბინა თითქმის ამ მაღაზიაში იყო. ბევრნი გაჭირების დროს აქვე აფარებდენ თავს და იოლათ მიდიოდენ.

ასე და ამ გვართ ამ მაღაზიას მთელს ქართველობაში დიდათ გაუვარდა სახელი, ისე გავრცელდა ხალხში ამ მაღაზიის ქება, რომ ერთ დღეს აქ გაიხლნენ იმ დროის სამი ქართველი გამოჩენილი გენერლები. ესენი გახლდნენ: პოეტი გრიგოლ ორბელიანი, იმ დროის მთავარმართებლის ხელქვეით

— 12 —

ლევან ივანის ძე მელიქიშვილი და ყაზახთა ატამანი გიორგი სიმონის ძე ერისთავი. ესენი მაღაზიაში კარგა ხანს დარჩნენ, ილაპარაკეს ბევრი, შეაქეს მაღაზიის დაარსება და ინატრეს ამ მაღაზიის წარმოება და აღორძინება. პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა ღმერთს მაღლობა შესწირა, რომ ქართული წიგნის მაღაზია გაიხსნაო. მერე დიდის მაღლობით და თავაზით გაგვშორდენ იგინი.

ხშირათ მობრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზი, რომელიც აღტაცებული იყო ქართული წიგნების ბეჭდვის აღორძინების საქმეებით.

ასეთ პირთა გარდა, მაღაზიაში ერთობ ხშირათ და მრავლათ იწყეს სიარული იმ დროის სემინარიის, გემნაზიის და ასევე თფილისის სხვა და სხვა სკოლების უფროს მოწაფეებმაც. ყველა ამ მოწაფეებს ახალისებდა ის გარემოება და პირობები, რომ მაღაზიაში დაცული იყო ყველა ძველი ქართული ჟურნალები და წიგნები, რომელთაც იგინი დიდის ხალისით თხოუ-

ლობდენ, შინ მიჰქონდათ და კითხულობდენ. ასეთის იშვიათის წიგნებისათვის აქ მოდიოდნენ არამც თუ მოსწავლე ახალგაზრდები, არამედ ხნიერნიც კი და ისეთნიც, როგორც გახლდათ პოეტი ვახტანგ ორბელიანი, ანტონ ფურცელაძე და ასევე სხვანიც ბევრნი. ვისაც კი რამე ძველი ჟურნალი მოუნდებოდა, იგი უსათუოდ აქ უნდა მოსულიყო, სხვაგან ვერსად რას იშოვნოდა. ასეთის სამსახურით ამ მაღაზიამ ცხადათ აღბეჭდა თავისი მაღალი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ ხსენებულ პირთა გარეშე, ამ მაღაზიის არსებობით დიდათ სარგებლობდნენ ქართველი მუშები, ხელოსნები და ნამეტურ ამათი წვრილი შვირდები, რომელნიც ამ მაღაზიის საშუალებით ადვილათ შოულობდნენ საკითხავს წიგნებს. ვისაც ფული არ ჰქონდათ, იმას უფულოთაც ვაძლევდით საკითხავს წიგნებს, ზოგსა ჩუქებით. მუშებსა და ხელოსნებს გარდა ამავე მაღაზიიდან კარგათ სარგებლობდენ თფილისში მცხოვრები ვაჭრები და მოქალაქენი,

— 13 —

რომელთაც ქართული წიგნები და ჟურნალები სახლში მიჰქონდათ და კითხულობდენ.

ეს მაღაზია იყო ისეთი განძი და ისეთი სალარო ქართველის ერისათვის, რომ ვისაც სურდა ქართული მწიგნობრობის გაცნობა, ის რომ აქ მოსულიყო და დაეწყო სიარული და კითხვა, იგი ამ მაღაზიის არსებობის საშუალებით მთელს ქართულს მწერლობასაც გაიცნობდა. გრიგორ ჩარკვიანის ცდას, როგორც ამშვენებს ამ მაღაზიის არსებობა და მისი შრომა და ამაგი, ისევე იგი საპატიო გახლავსთ იმითაც, რომ გრ. ჩარკვიანმა ქართული წიგნების გამოცემა დაიწყო ამ მაღაზიის გახსნის წინეთ.

1875 წ. გრ. ჩარკვიანმა გამოსცა ცალკე წიგნათ „თამარ ბატონიშვილი“, ისტორიული რომანი გრ. რჩეულოვისა, რასაც მაშინ ერთობ კარგი გავლენა იქონია ქართველს საზოგადოებაზედ. ამის შემდეგ რაკი 1878 წ. ქართული წიგნის მაღაზია დავარსეთ, ამიტომ გრ. ჩარკვიანმა ამავე წელს გამოსცა სხვა და სხვა ქართული წიგნები. აქ ავღნიშნავთ მარტოთ

ერთ გამოცემას. ეს გახლავსთ ქართული სიმღერები, ნოტებზედ გადაღებული და გამოცემული 1878 წ. ბოლოს, რომელს ნოტებსაც ასე აწერია სათაური: „სახალხო ხმები, ყმაწვილებისათვის გადაღებული ნოტებზედ, ერთ, სამ და ოთხ ხმათ, მიხ. მაჭავარიანისა, გამოც. გრ. ჩარკვიანისა 1878 წ.“.

ესეც პირველი მაგალითი იყო მაშინ და მასთანვე სამაგალითო, რომ ღარიბმა მაღაზიამ შესძლო ამ ნოტების გამოცემის ხარჯის ატანა, საყურადღებოა კიდევ ის გარემოება, რომ ამ მაღაზიის გახსნის დღიდან წიგნების გამოცემას მოუხშირეს არსენ კალანდაძემ, ექვთიმე ხელაძემ, მ. ახპატელოვმა, სერგ. მდივანოვმა, ალ. თუთაევმა, დავ. გივიშვილმა, გ. სკანდაროვმა, „ყარამანიანის“ გამომცემლებმა, პეტრე უმიკაშვილმა, მე და სხვებმაც. წიგნების გამოცემა ისე წავიდა წინ და ისე წახალისდენ მრავალნი, რომ 1878 წ. შუა რიცხვს, ქართული წიგნების რიცხვის სულ 50 ნაირი იქნებოდა, ამ წლის გასულს

— 14 —

100 ნაირს წიგნს გადააჭარბა. ამას აჩენს თვით ამავე წელს გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული ქართული წიგნების კატალოგი, რომელსაც ასე აწერია ზედა პირზედ: „ქართული წიგნის მაღაზია, ქაშუეთის ეკკლესიის ქვემო დუქნებში № 2 გრიგორ ჩარკვიანისა 1878 წ.“. ამ კათალოგიდამ სჩანს, რომ 1878 წ. გასულს, ქართულს ენაზედ 105 ნაირი წიგნი ყოფილა უკვე. გრ. ჩარკვიანმა არც შემდეგ დროს დასტოვა წიგნების გამოცემა. ამაეზის ანუხსვას არ შევუდგებით, დავასახელებთ მის მთავარ საქმეებს, რაც უფრო საყურადღებოა.

1881 წ. მან გამოსცა კედლის და ჯიბის კალენდარი, რაც პირველი მაგალითი იყო ქართველებში. შემდეგ ამის გრ. ჩარკვიანმა ქართულ სასტამბო საქმესაც მოჰკიდა ხელი და მალე სტამბაც გაიჩინა, რომლის ამხანაგები იყვნენ ალ. დარევიჩი, არსენ კალანდაძე და წიგნის მაღაზიაში კი ანთ. ჯუღელი და მე. ამავე დროს გრ. ჩარკვიანის მეთაურობით დაარსებულ იქმნა ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, რომელმაც რამდენიმე ხანი იარსება და რამდენიმე წიგნიც გამოსცეს საამხანაგოთ. ამის სტამბის ისტორია რადგანაც ჩვენს

წიგნში გვაქვს აღნუსხული, ამიტომ აქ ამაზედ მოკლეთ მოვსჭირთ.

გრიგორ ჩარკვიანის სტამბამ კარგა ხანს იარსება. 1905 წელს, რევოლუციის დროს, გრ. ჩარკვიანი რამდენჯერმე დაპატიმრებულ იქმნა, ერთხელ გადასახლებულიც თფილისიდან სხვაგან. ამიტომ მეტი გზა არა ჰქონდა, სტამბის საქმეს უნდა გამოსთხოვებოდა, რადგანაც საოჯახო და ცოლშვილის საქმეც ამძიმებდა მას. გრ. ჩარკვიანი დასახლებულ იქმნა 1901 წ. მეუღლე ამათი გახლდათ, აწ განსვენებული ჩიგიანის ასული. სამწიგნობრო საქმეებში ეს ქალიც დიდათ უწყობდა ქმარს ხელს, და თანაუგრძნობდა ყველაფერში, სტამბის მუშავობაშიაც შველოდა, იგი გარდაიცვალა 1916 წ.

გრ. ვას. ჩარკვიანს თავის მამაპაპეული მამული ავლაბარში ჰქონდა. რადგანაც ეს მამული მისთვის შორს იყო, ამი-

— 15 —

ტომ მან ეს მამული გაყიდა და მის ნაცვლათ იგი გადასახლდა დიდუბის მახლობლივ, რკინის გზის ახლოს, რასაც შემდეგ ეწოდა „ნამალადევი“. ამ კუთხეში ფეხს იდგავდა და სახლდებოდა რკინის გზის სახელოსნო მუშები და ხელოსნები, რომლებთანაც დაახლოვება და დამეზობლება გრ. ჩარკვიანსაც დიდათ ენატრებოდა.

ნატვრა აქ მას ჩინებულათ აღუსრულდა. ამ კუთხეში თანამემამულეთა ქართველთა წინაშე სამოქმედოთ ახალი ასპარეზი გადემალა. როგორც გრიგოლ ჩარკვიანმა, ისევე ამის მეუღლემ, ან განსვენებულმა ელისაბედმა დავითის ასულმა ხსენებულს კუთხეში დიდის გულის მოდგინებით დაიწყეს მოქმედება და შრომა. აქ, ამ ნამალადევის ქართველთა წინაშე გრ. ჩარკვიანმა დაიმსახურა დიდი სახელი და პატივის ცემა, ხსენებულს ხალხში არ გაკეთებულა არც ერთი საზოგადო რამ საქმე, რომ იქ იმ საქმის გაკეთებაში გრ. ჩარკვიანს მონაწილეობა არ მიეღო და თავის წილად რამე საქმე, ანუ სამსახური არ მათქვია. ასეთ საქმეების კეთებაში წინამძღოლობდა და შრომის მიღება გრ. ჩარკვიანისა არის ერთობ კარგი და მასთან სიმპატიური.

მაგალითებზე, „ნამალადევში“ გრ. ჩარკვიანმა იმუშავა დიდის შრომის მოყვარეობით და თავდადებით, აღნიშნულის კუთხის მცხოვრებთა ინტერესებისთვის მან არასფერი დრო არ დაიშურა და სადაც კი საჭირო იყო, ყოველთვის ესწრებოდა სხვადასხვა კრებებს, სხდომებს და იქ იღებდა მონაწილეობას მსჯელობით და დარიგებით. დიდი შრომა მიუძღვის ამ კუთხის სკოლების გახსნაში. ასევე მას დაეთმოთა თვალსაჩინო ადგილი ადგილობრივ სახალხო თეატრის დაარსების საქმეებშიც. ეს ორი ასპარეზი სკოლა და თეატრი აშკარა მოწამე არის გრ. ჩარკვიანის პატიოსანის შრომის და მესამე გახლავსთ კიდევ ნამალადევში ქართული ეკკლესიის აშენება და ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვის დაარსება. ბოლონდელი საქმე გახლავსთ ნამალადევში, ანუ „ნახალოვკაში“, ქართული წიგნის მაღაზიის

— 16 —

განახლება, რითაც მან ამ მაღაზიის გახსნით ადგილობრივ ხელოსანთა და მუშათა შვილებს დიდი სამახსოვრო და კეთილი საქმე გაუკეთა. გაუადვილა სახელმძღვანელო წიგნების შოვნის საქმე და დღეის შემდეგ ამ კუთხის შვილები ხსენებული კუთხიდან თბილისის შუა გულს ქალაქში აღარ მოდიან წიგნების საყიდლათ და ამაზედ მთელს დღეებს არა ჰკარგავენ. ეს ისეთი სამადლობელო და კეთილი საქმეა, რასაც ფასი არა აქვს. ამიტომ ჩვენ ქება-დიდებით კი არ ვიტყვით, მხოლოდ გავიხსენებთ გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიის არსებობის მნიშვნელობას, თან დავსძენთ მასაც, რომ წელს 1919-ში შესრულდა 40 წელწადი, რაც ეს მაღაზია თავის დამაარსებლის შრომით და მეცადინეობით არსებობს და ამიტომ არ იქნება მეტი, რომ ეს დიდებული სამწიგნობრო საქმის დაარსების დასაწყისი თავის შესაფერი პატივისცემით აინუსხოს.

საჭიროთ მიგვაჩნია, რომ გამოვაცხადოთ შემდეგი:

ქართული წიგნის მაღაზია, თფილისში, პირველათ არსენ კალანდაძემ გახსნა 1873 წ. ესევე პირი წიგნის გამომცემელიც იყო 1874 წ. ეს მაღაზია მთავრობამ დაკეტა და არსენ კალანდაძეც დააპატიმრეს მეტეხის ციხეში. არსენ კალანდაძის მოღვაწეობა ჩვენს წიგნში თავის ალაგას გვაქვს აღწერილი.
